არ მისცე სმენის დაქვეითებას უფლება, შეგზღუდოს

სმენა ცხოვრებისთვის

WORLD HEARING FORUM

არ მისცე სმენის დაქვეითებას უფლება, შეგზღუდოს

მოსახლეობის **5%** ზე მეტს სმენის დაქვეითება აქვს

მათგან **83%** საჭიროებს სმენის აპარატს, მაგრამ არ იყენებს მას

სმენის რეაბილიტაცია **ყველასთვის** სასარგებლოა

სმენის დაქვეითებით გამოწვეული შეზღუდული შესაძლებლობის **59%** -ის შემცირება შესაძლებელი იქნება, თუ საჭიროების მქონე თითოეული ინდივიდი გამოიყენებს სმენის აპარატს

სმენის რეაბილიტაცია

სმენის აპარატები და კოხლეარული იმპლანტები

სმენისა და მეტყველების რეაბილიტაცია

ჟესტური ენა და კომუნიკაცია

დამხმარე ტექნოლოგიები და მომსახურება

სმენის რეაბილიტაციით მიღებული სარგებელი

გაზრდილი წვდომა განათლებასთან

დასაქმებისა და შემოსავლების მიღების გაზრდილი შესაძლებლობა, რასაც სარგებელი მოაქვს ეკონომიკისთვის

დეპრესიასთან და შემეცნებითი უნარების დაქვეითებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება

ინტეგრირებული საზოგადოება

ჯანმოს რეგიონებში არსებული მდგომარეობა **სმენის აპარატების გამოყენების მხრივ**

გლობალურად **83%**



ამერიკის რეგიონი | ევროპის რეგიონი | ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რეგიონი | სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონი | აფრიკის რეგიონი | დასავლეთ წყნარი ოკეანე

რატომ არის მოთხოვნა დაუკმაყოფილებელი?

- სმენის აპარატებისა და კოხლეარული იმპლანტების, ელემენტების და მათი მოვლის საშუალებების მაღალი ღირებულება
- სამუშაო ძალისა და მომსახურებების სიმწირე
- სმენის რეაბილიტაციის სარგებლის შესახებ ცნობიერების სიმწირე
- სმენის დაქვეითებასთან და სმენის მოწყობილობებთან დაკავშირებული სტიგმა

როგორ შეიძლება ამ გამოწვევის დაძლევა?

ისეთი პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალხარისხიან, ბიუჯეტურ და უსაფრთხო ტექნოლოგიებისა და მომსახურებისადმი მარტივ მისაწვდომობას.

ბიუჯეტური, მაღალხარისხიანი პროდუქციის დამტკიცება, რომელიც შესაბამისობაშია ჯანმოს რეკომენდაციებთან. სმენის აპარატებისათვის იხ. ბმული „ ჯანმოს მიერ რეკომენდებული სმენის ტექნოლოგიების პროფილი დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებისთვის *“ https://bit.ly/2tlQIHx.”*



სმენის აპარატების და კოხლეარული იმპლანტების სახელმწიფო სერვისების ფარგლებში მიწოდება. მათი, როგორც პრიორიტეტული დამხმარე საშუალებების, ჩართვა ქვეყანაში ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების რიგებში.

მომსახურების მიწოდების ისეთი ეფექტიანი მოდელების გამოცდა და დანერგვა, რომლებიც არ ეყრდნობიან მხოლოდ მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს, მაგალითად, ტელე-აუდიოლოგია; ჭკვიანი სმენის აპარატები; მომხმარებელზე პირდაპირ მიმართული მომსახურებები; ჯანმრთელობის ელექტრონული და მობილური პლატფორმები; ადგილობრივი ადამიანური რესურსის ტრენირება. მომსახურების მიწოდების ამგვარი მოდელები ქვეყნის მოთხოვნილებებისა და ჯანდაცვის სისტემის შესაბამისად უნდა იყოს ადაპტირებული.



საკომუნიკაცო კამპანიის წამოწყება სმენის დაქვეითების დესტიგმატიზაციისთვის ზუსტი და ხელმისაწვდომი ინფორმაციის უზრუნველყოფის გზით.

სმენის დაქვეითების მქონე ადამიანების გაძლიერება მათი გაერთიანებებისა და საქმიანობების გაძლიერების გზით.

ხარჯების შემცირება ისეთი ზომების მიღებით, როგორებიცაა: იმპორტირებისთვის საჭირო გადასახადების გაუქმება, ერთიანი შესყიდვები, მზის ენერგიაზე მომუშავე ელემენტებისა და ადგილობრივად ხელმისაწვდომი მასალების გამოყენება.

კვლევებისა და ინოვაციების წახალისება ქვეყნის შიგნით სმენის აპარატებისა და კოხლეარული იმპლანტების წარმოებისა და მიწოდების შესახებ.

მაგალითები:

ბრაზილია



ბრაზილიაში ტელე-აუდიოლოგია აღიარებული და დაკანონებულია ენა-მეტყველების პათოლოგიისა და აუდიოლოგიის ფედერალური საბჭოს მიერ. ცდებმა აჩვენა, რომ მორგებისა და კონსულტირების დისტანციური მომსახურების მიმღები პირები, იმავე აუდიოლოგიურ შედეგებს იღებენ და იმავე სიხშირით იყენებენ სმენის აპარატს, როგორც ადამიანები, რომლებიც პირისპირ კონსულტაციებს მიმართავენ (Campos and Ferrari 2012).

ამერიკის შეერთებული შტატები

2017 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო OTC სმენის აპარატის ოქმი, რომელიც შესაძლებელს ხდის სმენის აპარატების საცალოდ ყიდვას (ე.წ. რეცეპტის გარეშე ყიდვას) 2020 წლის ბოლოსთვის. „აუდიოლოგიის საუკეთესო პრაქტიკის“ მოდელთან შედარებისას, OTC მოდელსაც ზუსტად იგივე შედეგები ჰქონდა, რამაც აჩვენა მისი პოტენციალი - სმენის აპარატების მზარდი ხელმისაწვდომობისთვის.

ინდოეთი

ტამილ ნადუში, ინდოეთის სამხრეთ შტატში, სახელმწიფომ მომსახურებებში შეიტანა უფასო კოხლეარული იმპლანტაცია 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები ოჯახებისთვის მომსახურებების მიწოდებისა და შემდგომი მიდევნების უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა უნიკალური „hub and spoke” მოდელი, რომლისთვისაც შეიქმნა სატელიტური მომსახურების ცენტრები სწორედ ასეთ ადგილებში. ამ ცენტრების მომსახურების მიღება შესაძლებელია ტრენირებული სამუშაო ძალის მეშვეობით და ამასთან, დისტანციურად, ტელემედიცინის მეშვეობით. შედეგად, იმპლანტირებული პაციენტების რაოდენობა 50%-დან 90%-მდე გაიზარდა (Kumar 2018 and Report of the Standing Committee of the Ministry of Social Justice and Empowerment, Government of India).